პრაქტიკული სახელმძღვანელო ჟურნალისტებისა და მედიაორგანიზაციებისთვის ცილისწამების საქმეებთან დაკავშირებით

სახელმძღვანელო მომზადდა USAID მედია პროგრამის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის გულუხვი მხარდაჭერით და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით. შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ის, შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და IREX-ის პოზიციას.

გამოცემის ხელმძღვანელი: შორენა ლოლაძე
ავტორები: მარიამ გაბროშვილი, ალექსანდრე პატარაია
რედაქტირება და დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

სარჩევი

შესავალი 3

რა არის ცილისწამება? 4

ცილისწამებისას მაუწყებლისთვის მიმართვის უფლება 5

ცილისწამებისას სასამართლოსთვის მიმართვის უფლება 6

ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი ცილისწამებაზე დავისას? 7

რატომ არის მნიშვნელოვანი აზრის და ფაქტის გამიჯვნა ცილისწამებისას? 8

რა განსხვავებაა საჯარო და კერძო პირის ცილისწამებას შორის? 9

რა პასუხისმგებლობაა დადგენილი ცილისწამებისთვის? 10

როგორ ხდება ცილისწამებისას ზიანის ოდენობის განსაზღვრა? 11

ვის შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ცილისწამებისთვის? 12

რა შემთხვევაში არ ეკისრება პირს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობა? 13

რა შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს პირი/მედია ცილისწამების გამო პასუხისმგებლობისგან? 13

აქვს თუ არა ჟურნალისტს კონფიდენციალური წყაროს გამჟღავნების ვალდებულება? . 14

რა არის SLAPP? 15

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ჟურნალისტების მიერ ცილისწამებაზე 16

შესავალი

გამოხატვის თავისუფლებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებათა სისტემაში და უზრუნველყოფს პირის თავისუფლებას, თვითრეალიზებასა და დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობას. მისი მნიშვნელობის მიუხედავად, ის არ არის აბსოლუტური უფლება და შეიძლება შეიზღუდოს. უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ შემთხვევას სწორედ ცილისწამება განეკუთვნება.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა განსაკუთრებით საფრთხილოა მაშინ, როდესაც საკითხი მედიას ეხება, ვინაიდან მედიის როლი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობასა და განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს საერთო სასამართლოების სტატისტიკის თანახმად, 2021 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა სასამართლოში სავარაუდო ცილისმწამებლური განცხადების გამო შეტანილი სარჩელების რაოდენობა.[1] მათი უმეტესობა მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ არის მიმართული.

ეს გზამკვლევი განკუთვნილია ჟურნალისტებისთვის/მედიაორგანიზაციებისთვის და მისი მიზანია ცილისწამებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე ინფორმაციის გაზიარება.

კერძოდ, დოკუმენტში განხილულია:

- რა არის ცილისწამება;
- რა სახის პასუხისმგებლობაა დადგენილი ცილისმწამებლური განცხადების გავრცელებისთვის;
- ვინ შეიძლება იყოს ცილისმწამებლური განცხადების გავრცელებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი;

[1] იხ. https://tcc.court.ge/ka/Statistics.

- რა შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს პირი სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან;
- რა უფლება-მოვალეობები აქვს ჟურნალისტს/მედიაორგანიზაციას ცილისწამებაზე დავის დროს;
- რა არის SLAPP და რა კავშირი აქვს მას ცილისწამებასთან;
- როგორია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები ჟურნალისტების წინააღმდეგ ცილისწამების საქმეებზე.

რა არის ცილისწამება?

ცილისწამების განმარტება მოცემულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონში (შემდგომში - გამოხატვის შესახებ კანონი), რომლის თანახმადაც, ცილისწამება **არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი** და **პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა.**[2]

შესაბამისად, ცილისწამების განმარტების თანახმად, განცხადების ცილისწამებად მიჩნევისთვის ერთდროულად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

1. განცხადება უნდა შეიცავდეს არსებითად მცდარ ფაქტს;
2. ამ ფაქტის გავრცელებით ადრესატს უნდა ადგებოდეს ზიანი.

ცილისმწამებლური განცხადების გავრცელება გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას მესამე პირისთვის ან საჯაროდ მის გავრცელებას სოციალური ქსელით, მედიასაშუალებით და ა.შ.

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ექიმის მიმართ გამოთქმული ისეთი ტერმინები, როგორიცაა,

[2] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ე" პუნქტი.

მაგალითად, „მკვლელი ექიმი“, სასამართლომ სუბიექტურ მოსაზრებად შეაფასა და არ მიიჩნია ცილისწამებად.[3]

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სიტყვა, რომელიც, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება დანაშაული იყოს, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად ან ცილისწამებად არ უნდა შეფასდეს.[4] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამგვარ შემთხვევებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევად მხოლოდ მაშინ მიიჩნევს, როდესაც ამ ინფორმაციას ავრცელებს საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის დადგენა ევალება.[5]

ამდენად, წინასწარ შეუძლებელია, განისაზღვროს, რომელი ტერმინი ან გამონათქვამი მიიჩნევა ცილისწამებად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საჭიროა, ფაქტობრივი გარემოებები კონტექსტის გათვალისწინებით შეფასდეს.

ცილისწამებისას მაუწყებლისთვის მიმართვის უფლება

მედიაში მცდარი ფაქტის შემცველი და ზიანის მიმყენებელი განცხადების გაკეთებისას ადრესატს უფლება აქვს, ამ ინფორმაციის გავრცელებიდან 10 დღის ვადაში, შესაბამის მაუწყებელს მოსთხოვოს მისი შესწორება ან უარყოფა ადეკვატური საშუალებებითა და ფორმით, იმ ხანგრძლივობით და იმ დროს, რა ხანგრძლივობით და რა დროსაც ცილისმწამებლური განცხადება გაკეთდა.[6]

---

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება №ას-1498-2022.

[4] იქვე, 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება №ას-625-593-2014.

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე „კარამანი გერმანიის წინააღმდეგ“ (Karaman v. Germany), No17103/10), 27.02.2014.

[6] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

რა შემთხვევაში შეუძლია მაუწყებელს, უარი უთხრას პირს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე?

მაუწყებელი უფლებამოსილია, პირს უარი უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ:

- ფაქტის შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა პირველი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში არ ყოფილა წარდგენილი;
- პირველი განცხადება პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება ან მომჩივანი განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული არ არის;
- ფაქტის შესწორებას ან უარყოფას საწყის განცხადებასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, ან მისი შესწორების ან უარყოფის ზომა სცდება აუცილებელ ფარგლებს, ან ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის შესწორება ან უარყოფა;
- ფაქტის შესწორება ან უარყოფა გამოიწვევს მაუწყებლისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებას, შეიცავს ცილისწამებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნებს ან უხამსობას;
- ფაქტის შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს (მაგალითად, შეიცავს მესამე პირის პერსონალურ ინფორმაციას);
- მომჩივანი თავის კანონიერ ინტერესს ვერ ასაბუთებს.[7]

მაუწყებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ცილისწამებისას სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

პირს, რომლის მიმართაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცილისმწამებლური ცნობები გავრცელდა, უფლება აქვს, განცხადების გაცნობიდან 100 დღის ვადაში, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით, სარჩელით

[7] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

მიმართოს სასამართლოს. კერძოდ, მას შეუძლია, მოითხოვოს **ამ ცნობების უარყოფა ანდა საპასუხო ინფორმაციის გამოქვეყნება იმავე საშუალებებით.**

თუკი შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისთვის, მოსარჩელეს შეუძლია, მოითხოვოს მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც.[8]

აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია მოპასუხის იძულება, მოიხადოს ბოდიში.[9] შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ბოდიშის მოხდასთან დაკავშირებით თავიდანვე წარუმატებლობისთვისაა განწირული.

ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი ცილისწამებაზე დავისას?

გამოხატვის შესახებ კანონი უპირატესობას გამოხატვის თავისუფლებას ანიჭებს. შესაბამისად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს (მოსარჩელე მხარეს). კერძოდ, სასამართლოსთვის ცილისწამების თაობაზე სარჩელით მიმართვისას სწორედ მოსარჩელე მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მოპასუხემ მცდარი ფაქტის შემცველი, სახელის გამტეხი განცხადებები გაავრცელა, რამაც მას ზიანი მიაყენა.

ხსენებული კანონის თანახმად, ცილისწამების საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.[10]

---

[8] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი.
[9] იქვე, მე-2 პუნქტი.
[10] იქვე, მე-7 მუხლი.



რატომ არის მნიშვნელოვანი აზრის და ფაქტის გამიჯვნა ცილისწამებისას?

საქართველოს კონსტიტუციის, ასევე, გამოხატვის შესახებ კანონის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გამორიცხავს პირისთვის რაიმე სახის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ნებისმიერი სახის აზრის/შეფასების გამოთქმისას.

ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის, და არა - აზრის, გავრცელება, ვინაიდან შეფასებითი მსჯელობა, დაუშვებელია, გახდეს პასუხისმგებლობის საფუძველი. სწორედ ამიტომ, ცილისწამებაზე დავისას მოსარჩელემ, პირველ ყოვლისა, უნდა დაამტკიცოს, რომ გავრცელებული ინფორმაცია მოიცავს ფაქტს, რომლის დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია და არა - მოსაზრებას, რომელიც ასახავს რომელიმე პირის, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას.

გამოხატვის კანონის თანახმად, აზრის ან ფაქტის სტატუსის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისთვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. ეს გულისხმობს, რომ სარწმუნო მტკიცების გარეშე გავრცელებული ინფორმაცია ფასდება აზრად,[11] შესაბამისად, მის გამავრცელებელს პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს.

თუ დადგინდება, რომ გავრცელებულია ფაქტის შემცველი ცნობები და არა - შეფასებითი მსჯელობა, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს მათი მცდარობა და წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.[12] **ამდენად, თუ მოსარჩელე სათანადოდ ვერ შეძლებს მედიასაშუალებაში გავრცელებული განცხადების მცდარობის დადასტურებას,**

---

[11] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.
[12] იქვე, მე-6 პუნქტი.

ეს ინფორმაცია არ უნდა იყოს მიჩნეული ცილისწამებად, შესაბამისად, მედიაორგანიზაციას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა.

რა განსხვავებაა საჯარო და კერძო პირის ცილისწამებას შორის?

ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გავრცელებული განცხადების ადრესატის განსაზღვრას. კანონი ერთმანეთისგან მიჯნავს კერძო და საჯარო პირის ცილისწამებას, შესაბამისად, განსხვავებულ წინაპირობებს ადგენს. მოსარჩელის სტატუსის განსაზღვრა (კერძო პირია თუ საჯარო) მნიშვნელოვანია უშუალოდ სავარაუდო ცილისმწამებლური განცხადების გაკეთების მომენტში და არა - შემდგომ, დავის მიმ-დინარეობისას.

კერძო პირის[13] ცილისწამებისთვის გათვალისწინებულია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და მას ამით ზიანი მიადგა.

საჯარო პირის[14] ცილისწამების შემთხვევაში კი, მოსარჩელემ სასამარ-თლოში უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და მას ამით ზიანი მიადგა, ამასთანავე, ამ ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი, ან მან გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაციის გავრცელება გამოიწვია.

როგორც იკვეთება, საჯარო პირის მიმართ სავარაუდო ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელებაზე კანონი განსხვავებულ წინაპირობებს ადგენს.

---

[13] კერძო პირია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო სუბიექტი ან ადმინისტრაციული ორგანო.

[14] საჯარო პირია „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; ასევე პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; ან/და პირი, რომ-ლისკენაც, მისი გარკვეული ქმედების შედეგად, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოების ყურადღება.

ამის მიზეზი, მისი საზოგადოებრივი თუ თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, თმენის მომეტებული ვალდებულებაა. საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც საჯარო პირად მიჩნეული იყო მსახიობი[15] - მისი ცნობადობიდან გამომდინარე, ასევე, ჟურნალისტი,[16] ყოფილი მინისტრი[17] და ყოფილი მოსამართლეც[18] კი.

კანონის თანახმად, კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პირისთვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

რა პასუხისმგებლობაა დადგენილი ცილისწამებისთვის?

საქართველოს კანონმდებლობით, ცილისწამებისთვის მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, რაც მოპასუხისთვის ქონებრივი ანდა არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების დაკისრებაში გამოიხატება.[19]

[15] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება №ას-1332-1258-2012.
[16] იქვე, 2013 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1149-1169-2011.
[17] იქვე, 2022 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება №ას-237-2022.
[18] იქვე, 2019 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №ას-496-496-2018.
[19] საქართველოში ცილისწამების დეკრიმინალიზაცია 2004 წელს, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღების შემდგომ მოხდა, როდესაც საქართველო შეუერთდა იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალს, სადაც ცილისწამებისთვის კანონმდებლობა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

როგორ ხდება ცილისწამებისას ზიანის ოდენობის განსაზღვრა?

ცილისმწამებლური განცხადებების გამავრცელებელს ქონებრივი ზიანის სახით შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისთვის როგორც ფაქტობრივად მიყენებული ზიანის (რაც შეიძლება გამოიხატოს პროფესიული საქმიანობის შეზღუდვაში,[20] კლიენტების (პაციენტების) დაკარგვაში[21] და ა.შ.), ასევე, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაც,[22] ხოლო არაქონებრივი ზიანის სახით - მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებების გავრცელებით მოსარჩელისთვის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. მისი ოდენობა უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი. არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზიანის ხარისხი, ასევე დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა, რათა გაუმართლებლად დაკისრებულმა ანაზღაურებამ არ გამოიწვიოს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრება, ან მოპასუხე მედიასაშუალებას არ შეუქმნას საფრთხე საქმიანობის გაგრძელებაში.

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ცილისწამების შედეგად მიყენებული არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა.[23] ამ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი სწორედ მოპასუხეს ეკისრება. გარდა ამისა, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოსარჩელის სტატუსი (კერძო პირია თუ საჯარო), რა საშუალებით განხორციელდა პირის მიმართ ცილისწამება,[24] რა მასშტაბით გავრცელდა ეს ინფორმაცია[25] და ა.შ.

---

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1553-2018.

[21] იქვე, 2023 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება №ას-1498-2022.

[22] მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს, თუმცა მიიღებდა, რომ არ წარმოშობილიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

[23] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1553-2018 და 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №ას-1011-972-2016.

[24] იქვე, 2022 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება №ას-797-2022. შდრ: იქვე, 2021 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება №ას-810-2019.

[25] იქვე, 2012 წლის 1-ლი აგვისტოს გადაწყვეტილება №2ბ/1476-12.

ვის შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ცილისწამებისთვის?

გამოხატვის შესახებ კანონის თანახმად, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეა პირი, რომელიც არ არის განცხადების ავტორი ან რედაქტორი, ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო ამ ინფორმაციის გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას. სწორედ ამ ჩანაწერის გამო, ცილისწამების დავებში მოპასუხედ ხშირად კონკრეტულ ჟურნალისტს უთითებენ. საგულისხმოა, რომ კანონი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს - **მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე.**[26]

ონლაინსივრცეში გამოქვეყნებულ ცილისმწამებლურ განცხადებებზე პასუხისმგებელი სუბიექტის დადგენა არაერთ სირთულესთან არის დაკავშირებული. ეს კიდევ უფრო დიდ პრობლემას წარმოშობს, როდესაც სადავო განცხადება ანონიმურად ვრცელდება. პრაქტიკის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ სადავო ცნობების გამოქვეყნების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება.[27] ხოლო, თუ განცხადების ავტორის იდენტიფიცირება შესაძლებელია, მოქმედებს პრეზუმფცია (ვარაუდი), რომ ინტერნეტპროფილი ეკუთვნის მოპასუხეს, შესაბამისად, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი უკვე ამ უკანასკნელზე გადადის.[28]

---

[26] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება №ას-1378-1300-2012.

[28] იქვე, 2012 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება №ას-208-201-2012.

რა შემთხვევაში არ ეკისრება პირს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობა?

კანონი განსაზღვრავს ცილისწამების პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს. ასეთი შეიძლება იყოს განცხადება, რომელიც გაკეთებულია:

- პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე, პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
- წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს, კომიტეტის/კომისიის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში;
- უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

ცილისწამების თაობაზე სასამართლოში დავის საგანი ვერ გახდება ასევე განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და, რომელშიც კონკრეტული პირი არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული, აგრეთვე, თუ ის ეხება სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.

რა შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს პირი/მედია ცილისწამების გამო პასუხისმგებლობისგან?

პირს ენიჭება კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელებისას, ანუ, შესაძლებელია, ის ნაწილობრივ ან პირობით გათავისუფლდეს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობისგან, თუ:

- მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება. იმავდროულად, გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამების შედეგად პირის შელახული რეპუტაციის აღსადგენად;
- იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს;
- განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით;
- მისი განცხადება იყო მოსარჩელის მიერ მის წინააღმდეგ გავრცელებულ ინფორმაციაზე თანაზომიერი პასუხი;
- მისი განცხადება შეიცავდა სამართლიან და ზუსტ ცნობებს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოების ყურადღება.

ამდენად, ცილისწამება ყოველთვის არ არის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა ზომები მიიღო ჟურნალისტმა ფაქტის გავრცელებისას. თუკი მან ჯეროვნად შეასრულა დაკისრებული მოვალეობები ინფორმაციის გადამოწმებასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. თუმცა, ამ ვალდებულებათა შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები სწორედ ინფორმაციის გამავრცელებელმა უნდა წარადგინოს.[29]

აქვს თუ არა ჟურნალისტს კონფიდენციალური წყაროს გამჟღავნების ვალდებულება?

გამოხატვის შესახებ კანონი ასევე იცავს პროფესიულ საიდუმლოებას და მის წყაროს. კერძოდ, კანონის თანახმად, პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის აქვს უფლება, მოითხოვოს მისი გამხელა.

ცილისწამების შესახებ სასამართლო დავისას მედიასაშუალების წარმომადგენელს არ შეიძლება დაეკისროს კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროს

[29] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/1713-15.

გამხელის ვალდებულება. ეს დასაშვებია მხოლოდ თავად წყაროს თანხმობის ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების შემთხვევაში. გამხელით მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ მიზნით, რისთვისაც ის გაამხილეს. ამასთანავე, კანონი ცალსახად ადგენს, რომ, დაუშვებელია, მოპასუხის უარი – გაამხილოს პროფესიული საიდუმლოება ან მისი წყარო – გახდეს მის მიმართ საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი.

რა არის SLAPP?

SLAPP განიმარტება, როგორც სტრატეგიული სამართალწარმოება სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ და არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი მექანიზმი. ის გულისხმობს პოლიტიკურად ან ეკონომიკურად გავლენიანი პირების მიერ დაუსაბუთებელი სარჩელების შეტანას საზოგადოების აქტიური წევრების, ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამგვარი დაუსაბუთებელი სარჩელები ხშირად შედის ჟურნალისტების/მედიაორგანიზაციების წინააღმდეგ ცილისწამების მოტივით. ასეთი სარჩელები სრულებით უსაფუძვლოა და მიზნად ისახავს არა მოსარჩელის პატივის, ღირსებისა ან საქმიანი რეპუტაციის დაცვას, არამედ მოპასუხის უფლებების შელახვას და მისთვის ზიანის მიყენებას. SLAPP-ის შემთხვევაში, ცილისწამების საფუძვლით დაწყებული დავისას მოპასუხე მხარეს (რომელიც, ხშირად მედიასაშუალებაა) პასუხისმგებლობის დაკისრებისგან თავის დასაცავად ზედმეტად უწევს საპროცესო ხარჯების და რესურსის გაღება, რაც, შესაძლოა, მას გარკვეულ პრობლემებს უქმნიდეს. ეს კი, შედეგობრივად, მის დასუსტებაში ვლინდება.

Slapp სარჩელებში დავის საგანი, უმეტეს შემთხვევაში, ცილისწამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა. თუმცა, შესაძლებელია სარჩელი სხვა საფუძვლითაც აღიძრას, მაგალითად, დისკრიმინაციული განცხადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და ა.შ. Slapp სარჩელების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია მოსარჩელე, რომელიც,

პოლიტიკური თუ ფინანსური თვალსაზრისით, გავლენიანი პირია, ხოლო მოპასუხე - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ან მედიასაშუალების წარმომადგენელი. შესაძლოა, სარჩელი იყოს უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და მიზნად ისახავდეს მხოლოდ მოპასუხისთვის დისკომფორტის შექმნასა და და ფინანსური ტვირთის გაზრდას.

SLAPP-ისგან თავის დაცვის ერთგვარ მექანიზმს ითვალისწინებს გამოხატვის შესახებ კანონი, რომლის თანახმად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის მიზნით ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენისას, მოპასუხეს უფლება აქვს, მოსარჩელისგან გონივრულ ფარგლებში მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება. SLAPP-ის შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელის მიერ შეტანილია სრულიად უსაფუძვლო სარჩელი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხის უფლებების შელახვას და მის „გაჩუმებას“ ემსახურება, ანდა იკვეთება ცილისწამების პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, სასამართლო უფლებამოსილია, მოსამზადებელ ეტაპზევე შეწყვიტოს საქმის წარმოება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ჟურნალისტების მიერ ცილისწამებაზე

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში *„აქსელ სპრინგერი გერმანიის წინააღმდეგ“* (*Axel Springer AG v. Germany*)[30] განმარტა, რომ რეპუტაციის დაცვის უფლება, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ნაწილი, დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით.[31] თუმცა, სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მე-8 მუხლის ასამოქმედებლად პიროვნების რეპუტაციაზე თავდასხმამ უნდა მიაღწიოს სიმძიმის გარკვეულ ზღვარს და უნდა აყა-

[30] *აქსელ სპრინგერი გერმანიის წინააღმდეგ (Axel Springer AG v. Germany)* [GC], no. 39954/08, 7 თებერვალი, 2012წ.§ 83.

[31] ასევე იხ. *ჩოვი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Chauvy and Others v. France),* no. 64915/01, ECHR 29.06.2004, § 70. ასევე იხ. *კუმპანა და მაზარე რუმინეთის წინააღმდეგ (Cumpănă and Mazăre v. Romania)* [GC], no. 33348/96, 17.12.2004, § 91. ასევე იხ. *ჰფაიფერი ავსტრიის წინააღმდეგ (Pfeifer v. Austria)* no. 12556/03, 15.11.2007, § 35. ასევე *იხ. პოლკანო ტორესი და მოვილია პოლანკო ესპანეთის წინააღმდეგ (Polanco Torres and Movilla Polanco v. Spain)* no. 34147/06, 21.09.2010, § 40.

ლიბებდეს ცრურწმენას პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობის შესახებ.[32]

ამავე საქმეში სასამართლომ შეაჯამა კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება მაშინ, როდესაც შეიძლება წინააღმდეგობა არსებობდეს გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის. კერძოდ, ესენია: ზოგადი ინტერესის მქონე დებატებში შეტანილი წვლილი; რამდენად ცნობილია უშუალოდ ინტერესის მქონე პირი და რა არის მოხსენების საგანი; მისი წინარე ქცევა; ინფორმაციის მოპოვების მეთოდი და მისი სიზუსტე; პუბლიკაციის შინაარსი, ფორმა და შედეგები; დაკისრებული სანქციის სიმკაცრე.[33]

საქმეში *Erla Hlynsdóttir v. Iceland (No. 3)*[34] ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, მედია არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს, განსაკუთრებით, სხვათა რეპუტაციასა და უფლებებთან მიმართებით, ასევე, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების აუცილებლობის გათვალისწინებით, თუმცა, მან მაინც უნდა გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყველა საჯარო ინტერესის მქონე საკითხზე, მისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად. არა მხოლოდ მედიას აქვს ასეთი მასალების გავრცელების მოვალეობა, არამედ საზოგადოებასაც აქვს მათი მიღების უფლება. გარდა ამისა, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ ჟურნალისტური თავისუფლება ასევე მოიცავს გაზვიადების ან, თუნდაც, პროვოკაციების შესაძლო გამოყენებასაც. ამგვარ საქმეებში შეფასების ეროვნული ზღვარი შემოიფარგლება დემოკრატიული საზოგადოების ინტერესით, რათა მედიამ შეძლოს „საზოგადოებრივი დარაჯის“ ყველაზე მნიშვნელოვანი როლის შესრულება მაღალი ინტერესის მქონე ინფორმაციის გავრცელებით.[35]

საქმეში *„გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“* ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: *„ჟურნალისტური წყაროების დაცვა პრესის თა-*

---

[32] ასევე იხ. *A ნორვეგიის წინააღმდეგ (A. v. Norway)*, no. 28070/06, 09.04.2009, § 64. ასევე იხ. *სიდაბრასი და დზიაუტასი ლიეტუვის წინააღმდეგ (Sidabras and Džiautas v. Lithuania)*, nos. 55480/00 და 59330/00, 27.07.2004, § 49.

[33] *აქსელ სპრინგერი გერმანიის წინააღმდეგ,* §§ 89-95. ასევე იხ. *ფონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (Von Hannover v. Germany)* (no. 2) [GC], nos. 40660/08 და 60641/08, 07.02.2012, §§ 108-113.

[34] *Erla Hlynsdóttir v. Iceland* (No. 3), no. 54145/1062, 02.06.2015, §62.

[35] ასევე იხ. *ბლადეტ ტრომსო და სტესაასი ნორვეგიის წინააღმდეგ (Bladet Tromsø and Stensaas v. Norway)*, no. 21980/93, 20.05.1999, §§ 59 და 62. ასევე იხ. *ტონსბერგს ბლად A.S. და ჰაუკონი ნორვეგიის წინააღმდეგ (Tønsbergs Blad A.S. and Haukom v. Norway)*, no. 510/04, 01.03.2007, § 82.

ვისუფლების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. [...] ასეთი დაცვის გარეშე, საზოგადოების ინფორმირებაში საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე წყაროებმა შეიძლება თავი შეიკავონ პრესის დახმარებისგან. შედეგად, პრესამ სასიცოცხლო საზოგადოებრივი დარაჯის როლი შეიძლება ვეღარ შეასრულოს და ამან უარყოფითად იმოქმედოს მის უნარზე, ზუსტი და სანდო ინფორმაცია წარმოადგინოს. [...] წყაროს გამჟღავნების ბრძანება [...] არ შეიძლება იყოს თავსებადი კონვენციის მე-10 მუხლთან, თუ ის არ არის გამართლებული საჯარო ინტერესების ძირითადი მოთხოვნით“.[36]

რეკომენდაციები ჟურნალისტებისთვის/მედიასაშუალებებისთვის

ჟურნალისტი/მედიასაშუალება ვერ გამორიცხავს მის მიმართ ცილისწამების დავის დაწყებას, რადგან ნებისმიერი პირი თავად წყვეტს, რა საფუძვლით და მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. თუმცა, ჟურნალისტს/მედიასაშუალებას შეუძლია, თავისი საქმიანობა წარმართოს იმგვარად, რომ შეამციროს მის მიმართ დაწყებული ცილისწამების დავების რაოდენობა, ან დავის წარმოშობის შემთხვევაში, გავლენა მოახდინოს საქმის პერსპექტივაზე. ამისთვის სასურველია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

1. მასალის მომზადების დროს მაქსიმალურად ეცადეთ, გადაამოწმოთ მასში მითითებული ფაქტი. თუ ეს ვერ ხერხდება და არსებობს ვარაუდი, რომ ის, შესაძლოა, მცდარი იყოს, გამოსაქვეყნებელ მასალაში ეს ინფორმაცია გამოიყენეთ აზრის, ვარაუდის ფორმით და არა - ფაქტის სახით. ამ პროცესში, მნიშვნელოვანია, რომ მასალის გამოქვეყნებამდე, სამართლებრივი ექსპერტიზის მიზნით, მიმართოთ იურისტს;
2. შესაძლებლობის შემთხვევაში, განცხადების გავრცელებამდე მოითხოვეთ იმ პირის თანხმობა, რომელსაც განცხადება ეხება;
3. თუ თქვენ წინააღმდეგ წარდგენილია აშკარად უსაფუძვლო სარჩელი, პირველი შესაძლებლობისთანავე მიუთითეთ სასამართლოს მის უსაფუძვლობაზე და მოითხოვეთ საქმის წარმოების შეწყვეტა;

[36] *გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Goodwin v. the United Kingdom),* no. 17488/90, 27.03.1996, § 39.

4. იმისათვის, რომ შეუსაბამოდ დიდი ოდენობით დაკისრებულმა ზიანის ანაზღაურებამ საფრთხე არ შეუქმნას მედიასაშუალებას საქმიანობის გაგრძელებაში, სამართალწარმოების ეტაპზე წარადგინეთ მტკიცებულებები მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
5. თუკი ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად გონივრული ზომების მიღების მიუხედავად, ვერ შეძლებთ შეცდომის თავიდან აცილებას, გადადგით შესაბამისი ნაბიჯები დაზარალებული პირის რეპუტაციის აღსადგენად. მცდარი ცნობების უარყოფა ან შესწორება დადებით გავლენას იქონიებს მედიასაშუალებისთვის არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე.